საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 3230
02/12/2019

საჩხერის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის N54 36 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის N54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი და პრივატიზებული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება-სოფელ ჭალაში N35.03.43.372 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული კონსტრუქცია-ნაგებობა.

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2019 წლის 4 დეკემბერი 15სთ და დასრულების დროდ ამავე წლის 10 დეკემბერი 15სთ.

3. მოძრავი ქონების საწყისი საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების საბაზრო ღირებულებით 792 ლარი. „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საფასურის 10–10 პროცენტით.

4. ბრძანება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ბენიამენ ფალავანდიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი